ცაუმარჯოს ბესარაბიის მეფეთა ხარს!
ნიანგი
№ 8, 1940 წ.
თბილისი
გამომცემლობა „კომუნისტი“
ფასი: 1 მან.
ნახ. გ. ისაევისა
„წითელი არმიის შესვლას ბესარაბიაში და ჩრდილოეთ ბუკოვინაში ხალხი აღფრთოვანებით შეეგება ფაბრიკანტები და მემამულეები გაიქცნენ.
(გაზეთებიდან)
— რატომ გავრბივართ, ხომ ხედავ, წითელ არმიასაც ყვავილები მოაქვს?
— ის ყვავილები, ხალხისთვის მოაქვთ, ჩვენ არ გვეხება.

ნახ. მ. ლებუშევისა

ინგლისელი:—ჩვენ უნდა მივაღწიოთ, ბატონებო, იმას, რომ გერმანია დავყოთ, დავანაწილოთ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

უსტარი ომახი კვარაკვახჭინელისა რუმინელ კაპიტალისტებისადმი წარგზავნილი

პატივნაცემნო!

პროზაში რადგან ვეწევი ყაირათს,
ამიტომ უსტარს გიგზავნით—შეწყობილს მოკლე შაირად:

ჩვენს დაბა კვარაკვახჭინში ხმები დაირხა უცები,
რომ ცხელ ლადარში შეგექმნათ თავები შენატუცები,

დაგეხათ გუდა-ნაბერი ბაქი-ბუქით და ტრაბახით,
მოძურწეთ, გადიძუნძულეთ ბესარაბიის ყაბახი,

სორო მოსძებნეთ, შიგა გსურთ დამალოთ თავი-ნაბახი,
მაგრამ მახლაზ, რომ ხელთ შეგრჩათ ძირგავარდნილი თაბახი!

ალბად მადა გაქვთ წამხდარი პატივნაცემნო, მაგრამა,
ხომ იცით, ასეთი არის მტაცებლის ბედის „პრაგრამა“:

ვინც გრძელი დინგით შემკული—სხვის ბოსტანს ეპოტინება,
ერთხელაც არის მოუწევს ცხვირიდან ძმარის დინება!

***

გახსოვთ ი თვრამეტი წელი,—ჩვენთვის ბრძოლის და შრომისა,
როცა ბორგავდა ტალღები სამოქალაქო ომისა?

თქვენთვის ჯერ როდი გვეცალა... იდროვეო მუხანათურად,
რომ ჩვენს ოჯახში ქურდულად ხელები მოგეფათურათ,

და ჩვენს ბოსტანში შესძვერით ხორხოზითა და ღრუტუნით,
ნათესი დაგხვდათ, იმკიდით სიამოვნების წკმუტუნით;

მაგრამ ქეიფი წაგიხდათ, დრო დადგა ანგარიშისა,
მწარე იწვნიეთ საწვნევი მაგ თქვენი იაღლიშისა.

ცხვირი რათ ჩამოგიშვიათ, კურცხალი რათ გაქვთ თვალებსა?
რას იზამთ; წესი ასეა: გადახდა უნდა ვალებსა.

ხომ გაგიგიათ: ბრიყვი თავს თვითონვე გაიწკალებსა,
რეგვენი საქმეს წაახდენს—ფათერაკს დააბრალებსა,

უგუნებოთა ბრძანდებით, საქმე ვერ მოგდით დამშია,
რომ გემრიელი შარბათი ცხარე ძმრად გექცათ ჯამ'ია?

რას იზამთ პატივნაცემნო, წესი ასეა ლოლიკის:
ვინც ქარს დასთესავს ნახნავში, იგი ქარიშხალს მოიმკის...

***

მართლა, ამ გახსენებაზე მსურს გითხრათ ერთი იგავი:
ერთ ადგილს ვირი ცხოვრობდა, ის ყროყინა და მტლინკავი,

თივაც ეყარა ბაგაში, მოლსაც ჰკორტნიდა ჩალიანს,—
მაგრამ დახედეთ ვირის ჭკვას: ერთ დღეს ატროკდა ძალიან

და, სულაც აღარ დასჯერდა მისთვის მიჩენილ საძოვარს,
ადგა, დავლაზე წავიდა, წაეპოტინა „საშოვარს“.

— მეო?—იძახდა ყროყინით,—თქვენ ჯერ რა იცით ვინ ვარო,—
უბრალო ვირად კი ნუ მთვლით—სხვა ვირად გავჩენილვარო;

ოქროსი მაკრავს ნალები, მკერდს მირთავს ზანზალაკიო,
ბეგარას ვადებ ქვეყანას, არ უნდა ლაპარაკიო“.

გაქირი დაჰკრა, გაჯიქდა, არ დაიჯერა რჩევა და
ვეფხვების საბინადარო ფართო ყორეულში შევარდა...

თქვენც კი მიხვდებით ამ ამბავს რაც მოჰყვებოდა ბოლოდა:
დიდყურას ნაცვლად, იმ ადგილს ნალები ნახეს მხოლოდა.

ამაზე გახლავთ ანდაზა: ვირს რატომ შეხვდა გლოვაო?
იგი დავლაზე წავიდა, ნალებიც იქ დასტოვაო.

***

იგავი სიტყვას მოჰყვა და მიტომ გაკადრეთ მოყოლა,
თუ გნებავთ, იგულისხმეეთ შიგ თქვენი თავის მოყოლა,

მაგრამ იმ განსხვავებით კი, რომ თქვენ კვლავ გაკრავთ ნალები,
და თქვენს დიდ ყურებს უყურებთ, თქვენივე ბეცი თვალებით!

ომახი კვარაკვახჭინელი

ნახ. ბ. ლებიშევისა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ბერმანელი— ამჟამად რამოდენიმე ქვეყანაში არის გერმანიის ჯარი დანაწილებული. ნორვეგიის, ჰოლანდიისა და ბელგიის აღების შემდეგ პარიზიც არ დატოვეს უნახავი ჩვენმა ბიჭებმა.

ვ ა მ პ უ კ ა

აიხადა ფარდა და დარბაზს გაკვირვების გმინვა აღმოხდა.

— ღმერთო ჩემო,—ჩურჩულებდა პარტერში ვიღაც მანდილოსანი,—რა შესანიშნავია! რა მშვენიერი ხავერდებია.

— როგორ ციმციმებს ელექტრონის შუქზე ატლასი.—შემოჰკრა ტაში ამ ძვირფასი განძით აღფრთოვანებულმა ქალიშვილმა და დარბაზში მჭუხარე ოვაციები გაიმართა.

თეატრის დირექტორი ამ დროს ლოჟაში იჯდა და გაკვირვებული გასცქეროდა სცენას. არც ერთი ცოცხალი არსება სცენაზე არ სჩანდა. რეჟისორის გაზრებული დადგმით სპექტაკლი ხანგრძლივი პაუზით იწყებოდა.

— ვის უკრავენ ტაშს, სცენაზე არავინაა!—გულუბრყვილოდ იკითხა დირექტორის მოადგილემ.

— მე,—ამაყად წარმოსთქვა მხატვარმა,—კრიტიკოსები მაგინებენ, ხალხი კი გრგვინავს.

— შენ?—გაიცინა რეჟისორმა.—ვნახოთ მესამე მოქმედებაში შენს მიერ დახატული ხეები და მაშინ გაიგებ, დაგიკრავენ ტაშს თუ არა, ხეები კი არა, ქარისგან მომტვრეული გახრეკილი ტოტებია დაზგებში ჩარჭობილი.

— ასეთია ქართლის პეიზაჟი.

— აბა ვის უკრავენ ტაშს?—იკითხა დასის გამგემ.

— მე.—სთქვა რეჟისორმა.—მე მოვისაზრე სცენის ასე მორთვა.

— შენ კი არა, მე,—გააწყვეტინა მომმარაგებელმა. ხავერდის ფერები მე შევარჩიე. შენი ვაჟკაცობა მეორე მოქმედებაში ნახე, გზაარეულ მიზანსცენებში რომ ვერ გაერკვევა ხალხი.

— ასე თუ ისე, ხალხი ტაშს უკრავს ჩვენს თეატრს დარბაზი სავსეა. გუშინწინ ერთ მეზობელ თეატრში ვიყავი და—18 კაცი იჯდა პარტერში.—ჩაიხითხითა დირექტორმა. ამ მოსწრებულ ოხუნჯობაზე. სხვებმაც გაიცინეს. მაგრამ ამ დროს დარბაზში ტაში შესწყდა, მსახიობი გამოვიდა და წარმოდგენაც დაიწყო.

— საერთო შთაბეჭდილება ნათელია,—სთქვა დირექტორმა,—წავიდეთ!

— მე რა ვქნა ახლა?—დაიწყო პირველმა რეჟისორმა, როცა დირექტორი სავარძელში ჩაესვენა.

— რა გინდა?—გაკვირვებით შეხედა დირექტორმა.

— რამე პიესა ხომ უნდა დავდგა?

— მეც კაცო,—სთქვა მეორემ,—სეზონი თავდება და არც ერთი წარმოდგენა არ დამიდგამს.

— თქვენ რა, გინდათ რეჟისორობას გადამაჩვიოთ თუ რაშია საქმე?—დაიწყო მესამემ.

— ჩაგბარეთ დღეს პრემიერა. ხვალ რაზე ვიმუშაო.—დაუმატა მეორემ.

— მეც უნდა მოგახსენოთ... დაიწყო მეხუთემ, მაგრამ დირექტორმა არ დააცადა.

— შენ რაღა გინდა კაცო, რვა თვეა ერთ პიესას დგამ და ჯერაც არ დაგიმთავრებია.

— სტანისლავსკი სამ წელს დგამდა ერთ პიესას

— მერე ხომ არ გისაყვედურებ. დგი რამდენნანსაც გინდა. რაც გვიან გაათავებ. მით უკეთესი. სად ვეძიო ახლა შენთვის პიესა?

— ჩვენ, ჩვენ?—აყაყანდნენ უპიესო რეჟისორები.

— ყმაწვილებო. ყმაწვილებო! თეატრში მე მყავს 6 რეჟისორი. მეც ხომ რეჟისორი ვარ, ესეც 7, ვასიკო დგამს, კოლა დგამს, სიმონი დგამს. ერთი სიტყვით ყოველმა რეჟისორმა რომ წელიწადში თითო პიესა დადგას, სად წავიღოთ ამდენი პრემიერები?

რეჟისორები ჩაფიქრდნენ: ერთის მხრით რა სჯობია ამას. ითვლები რეჟისორად. ხალხი პატივს გცემს, გაფასებს, გასაკეთებელი არაფერი გაქვს—ისეირნე და მიიღე ჯამაგირი. მეორე მხრით, პიესის დადგმაც კარგია. რა იცი, იქნებ მართლაც მოეწონოს ხალხს, დაუკრას ტაში და სცენაზედ გამოიძახოს დამდგმელი.

— ყმაწვილებო. ერთი პიესა ჩამივარდა ხელში. ნამდვილი კამფეტია თითებს ჩაიკვნეტ.

— ვისია?

— რამდონიასი და ყანთარაძისა.

— რომელი, კაცო. „ავსტრია?“

— არა, „ნორვეგია“ ჰქონდა.

— ნორვეგიაზე კი არა, ფინეთზე აქვს დაწერილი.

— დამშვიდდით ყმაწვილებო,—განაგრძო დირექტორმა.—მართალია. პიესა მე არ წამიკითხავს. მაგრამ ავტორების სიტყვით. ინგლისს შეეხება.

— ინგლისს? ეს კარგია. ... მარა, უწინ მგონია სხვას შეეხებოდა და..

ამ დროს კაბინეტში ერთი ავტორთაგანი შევიდა.

— ა გახსენეთ და გაჩნდი,—გადაიხარხარა დირექტორმა,.—შენს პიესაზე გვქონდა ლაპარაკი, აგვიხსენი ერთი ვის შეეხება?

— ამხანაგებო. რა მნიშვნელობა აქვს ამას. ავსტრიაზე დავწერეთ. სანამ განიხილავდა რეპერტკომი, ფინეთის ამბები დაიწყო, უცბად გადავაკეთეთ ფინეთზე. მაგრამ რეპერტკომმა ვერ მოასწრო წაკითხვა. რომ ნორვეგიის ამბები დაიწყო. ვეცით და ნორვეგიაზე გადავაკეთეთ, მაგრამ სანამ პიესას მიიღებდნენ—ჩვენს რეპერტკომში ხომ იცი პიესის მიღებას მეტი დრო უნდა. ვიდრე ფინეთის დამარცხებას.—გათავდა ფინეთის ამბებიც. ახლა ინგლისზე გადავაკეთეთ. როგორც ინგლისის პრემიერის გამოსვლებიდან სჩანს, ინგლისიოს ასე მალე არ გაათავებს.

— კაცო, ეს პიესა კი არა ვამპუკა ყოფილა,—დაიწყო სალიტერატურო ნაწილის გამგემ,—პერანგი ხომ არ არის. ასე ყველა ქვეყანას როგორ უდგება ეს პიესა?

— რა მიდგომა უნდა?—უპასუხა ავტორმა.—სახელები შეუცვალეთ და გეოგრაფიული სახელწოდებები, სხვა რა უნდა?

— მართალია, დაემოწმა თმახუჭუჭა მსახიობი.—ციხე ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაშია, კომუნისტებს იჭერენ, გლეხებს მიწებს ართმევენ, მდიდრები მდიდრდებიან. პრინციპულად ყველგან ერთი და იგივე ამბავი ხდება.

— სწორედ საჩვენო პიესაა,—სთქვა რეჟისორმა.

— ეს პიესა არ არის.—დაიწყო სალიტერატურო ნაწილის გამგემ.

— სწორედ მაგაშია მისი ღირებულება,—გააწყვეტინა დირექტორმა.—სპექტაკლი არარაობიდან უნდა გააკეთო, თორემ კარგ პიესას მხატვიც მიიღებს. მერე ასეთი პიესები ხელს უწყობს ჩვენი დრამატურგიის ზრდას. ნახა, კაცო. დამწყებმა მწერალმა შექსპირი სცენაზე და გული გაუსკდა, კალამი ხელიდან გაგდო—ასეთ პიესას მე ვერ დავსწერო. ნახავს ყანთარაძის პიესას და გაეხარდება. ასეთს მეც კი დავწერო და დასწერს კიდეც. გარწმუნებ ბეკრი დასწერს.

— ერთი ეს მიბრძანეთ. მაინც რას ფიქრობს რეპერტკომი, ვარგა თუ არა ეს პიესაო?

— რა გეჩქარებათ, კაცო, ვარგა თუ არა, გენერალურ რეპეტიციაზე გამოირკვევა. კამათს მაშინაც მოვასწრებთ.

— კარგი. ბატონო. ვნახოთ ხვალ და ხვალაო.

— არა, ხვალ არ იქნება, მაგრამ ერთი სამი-ოთხი თვის შემდეგ ვნახოთ.

— სამი-ოთხი-თვის?—შეშინებით წამოიძახა ავტორმა.

— რავა, გეცოტავა?

— ინგლისმი რომ რამე მოხდეს?

— ამერიკაზე გადავიტანოთ, შე კაცო, რაღა ახლა ამოწყდება ჩვენს ჯინაზე ეს კაპიტალისტური ქვეყნები.

კოლეგიის სხდომა ამ ოხუნჯობით დამთავრდა ერთ რეჟისორს საქმე გამოუჩნდა.

ფელეტონი

ცნობისმოყვარე

ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა ახალკაციშვილმა, ახალ ბინაში გადასვლის გამო ქეიფი გამართა. სტუმრების უმრავლესობას მასწავლებლები და მათი მეუღლეები შეადგენდნენ. სტუმართა შორის დახლის მუშაკი ეტიფანეც ერია.

ქალთა შორის სილამაზითა და სიკეკლუცით გამოირჩეოდა ვენერა უგრეხელიშვილი. ის, როგორც იტყვიან, წვეულების თვალი იყო.

როცა პატეფონი დაუკრეს და ფოქსტროტი გაჩაღდა, ვენერამ კიდევ უფრო მიიზიდა მამაკაცების ყურადღება და სავსებით დაჩრდილა დანარჩენი ქალები.

ერთმა, პატარა ტანის, მეტად გამხდარმა მასწავლებელმა ქალმა, რომელიც არავინ გაიწვია საცეკვავოდ თავის გვერდით მჯდომ მსხვილ მანდილოსანს გადაულაპარაკა:

— ის ქალი უგრეხელიშვილი კი არა გრეხიაშვილი უნდა იყოს გვარად, როგორ იპრანჭება და იგრიხება, თქვენ გენაცვალეთ!?.

— მაშ ქალო, მა-ა-შ. — დაუდასტურა მსხვილმა ქანდილოსანმა,—ეტყობა ქარაფშუტაც უნდა იყოს.

ვენერამ თითქმის ყველა მამაკაცთან იცეკვა, ზოგთან ორჯერაც. ახალგაზრდებიდან მხოლოდ ეტიფანე დარჩა.

ეტიფანეს საზოგადოდ მორცხვად ეჭირა თავი.

ჯერ იყო და მასწავლებლები პედაგოგიკაზე ლაპარაკობდნენ, შემდეგ ეს ფოქსტროტი გაჩაღდა. პედაგოგიკის მაინცდამაინც არაფერი გაეგებოდა, ფოქსტროტი, თუმცა ასე თუ ისე იცოდა, მაგრამ აქ ცეკვას ვერ ბედავდა, შემეშლება და შევრცხვებიო.

ვენერა ბევრჯერ საგანგებოდ დაჯდა მის ახლოს, მაგრამ მორცხვი ახალგაზრდა სდუმდა.

ბოლოს ქალმა თვით გამოიჩინა ინიციატივა:

— რა არის ყმაწვილო, რომ არ ერევით მხიარულებაში?

— რა ვქნა, ცეკვა არ ვიცი.

— აბა ფოქსტროტს რა ცოდნა უნდა, ესეც ხომ რუმბა, ან ტანგო არაა. ადექით, მე გაცეკვებთ.

ეტიფანემ გაიპატიჟა, მაგრამ ქალმა ბოლოს დაითანხმა და დაიწყეს ცეკვა.

— არ ვიცი რომ ამბობდით, აკი გცოდნიათ!—ამხნევებდა ქალი ეტიფანეს.

— არა, ეს თქვენ მიგყევართ, თორემ სხვასთან ვერ ვიცეკვებდი.

— ამ სალამოს სხვასთან ცეკვის უფლებას მე არც კი მოგცემთ, მხოლოდ ჩემთან უნდა იცეკვოთ.—ეშმაკურად ღიმილით უთხრა ქალმა.

ეტიფანე ძლიერ კმაყოფილი დარჩა, რომ არ შეეშალა და სირცხვილი არ ჭამა. თანაც უხაროდა, რომ ასეთი ლამაზი ქალის ყურადღება მიიპყრო.

ვენერამ მეორედაც აცეკვა ეტიფანე და ცეკვის შემდეგ გაიმარტოვა კიდეც, ისინი ფანჯარასთან ჩამოჯდნენ.

— მე თქვენ კარგად გიცნობთ,—უთხრა ვენერამ.

— საიდან?

— თქვენ ხომ № მაღაზიაში ხართ გამყიდველად, საფართლო განყოფილებაში?

— დიაღ, მართალია; სამი წელია იქ ვმუშაობ.

— რა უნდა გთხოვოთ იცით?

— ბრძანეთ.

— უარი არ მითხრათ იცოდეთ, ერთი კრეპ-დე-შინის საკაბე უნდა გადამინახოთ.

— ამ წუთს.—მიუგო ნოქარმა. შემდეგ ამოიღო უბის წიგნი და ჩაიწერა: „ვენერა უგრეხელიშვილს ერთი საკაბე კრეპ-დე-შინი“.

— ერთი საკოსტუმეც ჩემი ბაიყუში ქმრისათვის. ისეთი უშნოა, რომ მე თუ არ ვუყიდე, თითონ ვერაფერს მოახერხებს.

ეტიფანემ ჩასწერა საკოსტუმეც.

მეორე დღეს ვენერა უგრეხელიშვილი მოგვიანებით შევიდა № მაღაზიაში; კეკლუცად მიესალმა ჩვენს ნაცნობ ეტიფანეს და ხმადაბლა ჰკითხა:

— ხომ შემინახეთ?

— რა?—გაიკვირვა ეტიფანემ.

— არ გახსოვთ? წუხელის რომ შემპირდით, ხომ ჩაიწერეთ კიდეც: ჩემი საკაბე და ჩემი ქმრისათვის ერთი საკოსტუმე. მე დარწმუნებული ვარ, თქვენ არ მომატყუებდით.

— პატივცემულო ამხანაგო,—დამშვიდებულად მიუგო გამყიდველმა—მოტყუილება რა შუაშია? უნდა მოგახსენოთ, რომ ასეთ ოპერაციებს მე საზოგადოდ არ ვაწარმოებ. ეს ხომ ბოროტმოქმედება იქნებოდა? და თუ ჩემს უბის წიგნში ვიწერ დაკვეთებს, ეს მხოლოდ უბრალო ცნობისმოყვარეობის გამო. მე მაინტერესებს: რამდენი უნდა გადამენახა საქონელი, თუ ვინც კი მთხოვს, ყველას შევუსრულებდი სურვილს. და აი ნახეთ—განაგრძობდა ის და თან გადაუშალა კეკლუც ქალს თავისი უბის წიგნი,—ამ თვის განმავლობაში ასი სხვადასხვა ნაცნობისა და უცნობი პირისაგან მაქვს ჩაწერილი კანონისა და სინდისის საწინააღმდეგო ასეთი დაკვეთა. მაგრამ მე ვამაყობ, რომ დაჯილდოებული ვარ ჩვენი ხელობის კაცისათვის საჭირო ნებისყოფით. ერთადერთი ჩემი ნაკლი არის ცნობისმოყვარეობა, რამაც, როგორც ჩანს, ვამოიწვია სამწუხარო გაუგებრობა.

გაიოზ ყირიმელი

გეოგრაფიის მცოდნენი

ნახ. ან. კანდელაკისა

— გაიგე? გერმანელები ბრიუსელში შესულან...
— საწყალი გრენლანდია, რახან დედაქალაქი წაართვეს, მაშ



არისტო ქუჩაში უწესოებას ვერ ითმენს. სკოლიდან მომავალ ბავშვებს ეშმაკობა არ მოეწონა და შეუტია:

— რას ეშმაკობთ ქუჩაში!

— თქვენგან რა ადამიანები გამოვა! თფუ! თქვენი გამზრდელის... „დაარიგა“ ჭკუაზე ბავშვები არისტომ.

— აბა! მწვანე ნარგავებს ასე ხოეკცევა კაცი? რომ მიწოლილხართ ამ ხეს, ხომ გახმება!



— თქვე უზრდელებო თქვენა! — და არისტომ მწვანე ნარგავების „დაცვის“ მიზნით... უთაქა ბიჭებს.

ტრამვაის ვაგონს უკან აცოცებულ ბიჭს მიაძახა:

— რომ ჩამოგარდე, ხომ მოიწევ რამეს?

— ჩამოდი მალე ძირს და წესიერად ჩაჯექი!

ბაკალეიას წინ ბატარა რიგი დაინახა. აქაც ვერ მოითმინა და ბაკალეიას გვერდზე ფანჯარაში ნაცნობ ნოქარს დაუკაკუნა.

— აი მე წესიერად ვიდექი და საქონელიც თქვენზე ადრე მივიღე. — გადასძახა რიგში მდგომთ და "კულტურული" არისტო სახლისაკენ გაუდგა.

ეზოში

ერეკლეული
ბიბლიოთეკა

— პატივცემულო ვლას! მაოცებს დიდათ თქვენი ასეთი სიმშვიდე.

— როგორ, პატივცემულო?—აღუშფოთველად კითხულობს კომენდანტი ვლასი.

— დიდი ნებისყოფა გქონიათ, ძვირფასო, რომ ამდენ უმსგავსოებას აგრე გულგრილად შესცქერით.

— როგორ? მე არაფერი ისეთი არ დამინახავს, მეგობრებო.

მობინადრენი, რომლებიც სახლის კომენდანტ ვლასის გარშემო შემოკრებილან, ერთი—მეორეს აღარ აცლიან.

— თქვენ არ დაგინახავთ?

— თუ არ გნებავთ დაინახოთ?

— თითებს შუა ცქერით რას დაინახავთ?

კომენდანტი ვლასი—ჩვენი დიდი სახლის გამგებელი ვლასი, გაკვირვებულია.

— ბატონებო, კონკრეტულად, უფრო ახლოს საქმესთან, ხომ არ გნებავთ დამისახელოთ ფაქტები? უფაქტებოდ ფეხის გადადგმაც არ შემიძლიან.

— ფაქტები?—წამოიწევს წინ ერთი დიასახლისი,—აი ფაქტი: სახურავში წვიმა ჩამოდის.

— მერე მე რა ვუყო წვიმას? წვიმა, როგორცა მოგეხსენებათ, სტიქიური მოვლენაა. სტიქიასთან უღონო ვართ თვით ჩვენც კი—კომენდანტები... სტიქიური მოვლენები საერთოდ და წვიმები კერძოდ, ჩვენზე—კომენდანტებზე არ არის დამოკიდებული.

— მაგრამ სახლის სახურავის გაფუჭება ხომ სტიქიური მოვლენა არ არის?—ეკითხება უხუცესი მობინადრე.— ნუ თუ არ შეიძლება სახურავის შერემონტება?

— შერემონტება შეიძლება და სასურველიცაა,—ეთანხმება კომენდანტი,—ეს საკითხი ჩვენს რემონტტრესტში მომწიფებულად მიაჩნიათ. მეტიც: ეს საჭიროდ სცნეს სათანადო ნაბიჯების გადადგმა შესაფერ ღონისძიებათა დასახვისათვის.

— ეს ყველაფერი საერთო ლაპარაკია,—ერევა კამათში ეზოს სანიტარული კომისიის წევრი. ნაბიჯები, ღონისძიებები, სურვილები... არ სჯობს, მაგათ თავი დაანებოთ და პირდაპირ შეუდგეთ სახურავის შეკეთებას?

— გეტყობათ, გამოუცდელი ბრძანდებით,— იღიმება კომენდანტი,—ქალაქის თვითეული რაიონის თვითეული რემტრესტის თვითეული მუშაკი სცხოვრობს, სულდგმულობს და, თუ შეიძლება ითქვას, სუნთქავს სათანადო ღონისძიებებით, ნაბიჯებით, პროექტებით... ამ საქმეზე ხალხი ოფლს ღვრის, თქვენ კი გნებავთ, ერთი ხელის დაკვრით, პირდაპირ შეუდგეთ სახურავის შერემონტებას და შეარემონტოთ კიდეც?

— ამხანაგო კომენდანტო! რას იტყვით თქვენ ჩემი საპირფარეშოს შესახებ?

— რა მაქვს სათქმელი?

— ბევრი რამ: სამი თვეა მპირდებით, ისე გავაკეთებ, რომ წყალი ჩამოდიოდეს და სუფთავდებოდესო.

— გავაკეთებთ. ჯერ ხარჯთაღრიცხვას შევადგენთ.

— ჩემს საპირფარეშოში კი იმდენი წყალი ჩამოდის, რომ კედლები ინგრევა. ამაზე რაღას მეტყვით?

— გამოვგზავნით კომისიას და დასკვნას გამოვატანინებთ.

— პატივცემულო ვლას,—ეკითხება მეორე სართულზე მცხოვრები,—აქვს თუ არა უფლება მესამე სართულზე მცხოვრებთ, ზევიდან თავზე გადმოგვასხან ჭუჭყიანი წყალი?

ვლასი დაფიქრდა.

— მე ვიტყოდი, რომ არა აქვთ...

— მაშ რა ვქნათ ჩვენ, მესამე სართულელებმა, როცა ონკანები და წყალსასხმები გაფუჭებულია? მესამე სართულიდან ძირს ხომ ვერ ჩავიტანთ ჭუჭყიან წყალს და ნაგავს?

— რა თქმა უნდა,—ამბობს ვლასი,—ძნელია ყოველდღე მესამე სართულიდან ძირს უსუფთაობათა ზიდვა, სულერთია, თხევადი იქნება ეს თუ არათხევადი. მეორეს მხრივ, დაგვეთანხმეთ, რომ პირველ-მეორე სართულელებიც უხერხულ მდგომარეობაში ვარდებიან, როცა მათ საეჭვო შემადგენლობის წყალი გადაესხმებათ ხოლმე...

— გადმოგისხამს კიდევ და მერე მე ვიცი,—ეუბნება პირველი სართულელი მეორე სართულელს.

— თუ კი მე მესამე სართულიდან მასხამენ, შენ რა წითელი კოჭი ხარ?—უპასუხებს მეორე სართულელი.

— აი, ვლას, თქვენ ხომ ხედავთ, რა ხდება?—მიმართავს პირველ სართულელი.

— ჰმ! თქვენც მართალი ხართ.—ღრმააზროვნად ამბობს ვლასი,—ეს საკითხი რემტრესტში უნდა დაისვას.

— ყველა ყველა და ამ ღორებს რა ვუყოთ?—კითხულობს მეეზოვე გაბო?

— რა ღორები?

— ღორები, იცოცხლეთ, შესანიშნავი ჯიშისაა. არიან იორკშირისაც, ბერკშირისაც, არის ნარევიც.

— მერე?

— მერე და ეზოში შემოდიან,—სანაგვე ყუთს ანგრევენ, მთელ ნაგავს ეზოში ფანტავენ და მიწასაც ჩიჩქნიან. აი ნახეთ, რამოდენა თხრილი გაუყვანიათ.

— მერე და რატომ უშვებთ ღორებს ეზოში?

— თითქოს, ჩვენ გვეკითხებიან, შეიძლება თუ არა შემოვიდეთო... მოგეხსენებათ, ღორს იქ ურჩევნია, სადაც მეტი უსუფთაობაა.

ჰო—და, ნუ შემოუშვებთ მეთქი!

— როგორ ნუ შემოუშვებ, როცა ეზოს კარები გაფუჭებულია და არ იხურება? გაგვიკეთეთ კარები და ღორს კი არა, ვეფხს არ გავაჭაჭანებ...

— ჰოო.. ეს საკითხიც მომწიფების სტადიაში ყოფილა...—ამბობს ვლასი.

— მომწიფების კი არა, ღორებმა შეგვჭამეს, ადამიანო!—შეუტევს სანიტკომისიის თავმჯდომარე.

— კარგი, კარგი, მაგ საკითხსაც დავსვამ, ამბობს კომენდანტი,—მანამ კი, სანამ ეს კარები გაკეთდებოდეს, კარგი იქნება, თუ რამდენიმე ძაღლს გაიჩენთ ეზოში. ღორს, როგორც მოგეხსენებათ, ძაღლის ეშინია...

— ღორის რა მოგახსენოთ და, ისეთი ძაღლი კი უნდა ვიყიდო, რომ სპეციალურად კომენდანტებს ერჩოდეს,—გაბრაზებით ამბობს პირველ სართულელი.

— ვითომ რატომ?—კითხულობს ვლასი.

— იმიტომ, რომ თქვენისთანა კომენდანტები არ გააჭაჭანოს ეზოში... რას გავს ეს? წელიწადია ღონისძიებებით და ნაბიჯებით გვკვებავთ და ამ სახლში ერთი ონკანიც არ შეგიკეთებიათ...

— ეგრეა ხომ? მაშ კარგი, თქვენს საკითხსაც დავსვამ რემტრესტში,—მუქარით ამბობს კომენდანტი ვლასი და სახე—ალეწილი მიდის.

— დასვი, დასვი. ალბად იქაც აღმოჩნდებიან საქმისათვის გულშემატკივარი ადამიანები,—მისძახიან მობინადრეები.

— ვიყიდოთ, ვიყიდოთ,—უმატებს მეეზოვე,—სწორედ ანტისკომენდანტო ძაღლი ვიყიდოთ.

ამით თათბირი იშლება.

ალლარ-ალლარსანი

ხაბ-ბარ-დ-ა-ა!..

პოეტ-კრიტიკოს სარდას,
(რათ გვინდა მისი გვარი?,
დილიდ[illegible] საღამომდის
საქმე აქვს ,ათასგვარი:

ადგება ადრე, სიხსამს,
გადაიკითხავს, დასწერს,
შემდეგ დახურავს პორტფელს
და სამსახურში გასწევს.

მიდის და ფართო პროსპექტს,
ხედავს, შუქი სცემს დილის
და გულს ხალისი უვსებს,
როს ხედავს ახალ თბილისს,

წალკოტად გარდაქმნილი
ნაშვენი ახალ ძალით,—
დედაქალაქი მოსჩანს
ვით კოხტა პატარძალი:

— შენ შემოგევლე,—ამბობს
გულში მგზნებარედ—სარდა,—
ათიათასი ვაშა,
ვინც მოგქარგა და გზარდა...

„—ხაბ-ა-რ-დ-ა-!“—ესმის ამ დროს,
ხმა, როგორც ქარიშხალი
და მის კეწკეწა შარვალს
შხეფებად ესხმის წყალი.

—რას შვრებით?—ცხარობს სარდა,—
არ მესმის სინდისს ვფიცავ!..
—„ბეცი ხარ? ვერა ხედავ,
რომ სისუფთავეს ვიცავ...“

„თავაზით“ განუმარტა;
მას მეეზოვემ ბღვერით, —
გაჰკრა გამოჰკრა ცოცხს და
ქუჩა აავსო მტვერით...

სარდა იმშვიდებს გულს და
ამბობს: რათ ვერა ვხვდები:
სუფთა დამხვდება ქუჩა,
როცა შინ დავბრუნდები.

***

ნაყოფიერი შრომით
კარგად იჯერა გული,
და სასადილოდ უკან
დაბრუნდა მოქანცული...

რეპეტერის სააგენტოში

ნახ. დონინა

— ჩაწერე, სერ რომ მტერმა ოციათასი ახალი თვითმფრინავი დაამზადა, თორემ ერთი კვირის შემდეგ ინფორმაცია გამოგვეულევა მოწინააღმდეგის თვითმფრინავების დიდი რაოდენობით ჩამოყრის შესახებ.

მიდის და თვალსა სტაცებს
პროსპექტის სიგრძე, განი,
ხეივანი, თუ ჩრდილი,
თუ ფართო მოედანი,—

გამოფენილა ხალხი,
სამსახურიდან ნელა —
და საქმიანი სახით
მიეშურება ყველა

ნაცნობ პოეტებს შეხვდა,
და საბჭოს დეპუტატებს,
მათი საუბრის თემა
სარდას ხალისსა ჰმატებს.

მაგრამ უეცრად გრგვინვად
ისევ „ხაბარდა“ ისმის,
და მათ წვივებზე შხეფად
სარწყავით წყალი ისხმის...

—რას შვრები?—შესძახიან
რას გავს ეს ქცევა, ბიძავ?
—ვა, ბნელა? ვერა ხედავთ,
რომ სისუფთავეს ვიცავ?..

„თავაზით“ განუმარტავს
მათ მეეზოვე ბღვერით, —
გაჰკრავს, გამოჰკრავს ცოცხსა
და ქუჩას !ავსებს მტვერით...

ნაბიჯს უმატებს სარდა,
რომ გასცდეს მტვრიან ქუჩას, —
მის გაკვირვებას—ესდენს
საზღვარი აღარ უჩანს.

„ხაბარდა“ ხვდება წინაც,
(ხმით ემსგავსება ის დევს),
სარდა მიდის და უკან
ისევ „ხაბარდა“ მისდევს.

***

ჰე, „დამსუფთაერესტო“, ძმაო,
რა დაშავდება ამით,
რომ ეენს „ხაბარდას“ ჰქონდეს
თავისი დრო და ყამი?..

თარსი

ნახ. მ. ლებეშევისა

პროცენტის მასწავლელი

— გაგულისებულია მეხუთე კლასის მასწავლებელი, გეგმა ასოცი პროცენტით შეასრულა.

— რალამ გააგულისა?!

— იმან, რომ მოსწავლეებისათვის ათიანის დაწერა არ შეიძლება, მაშინ ხომ ორას ორმოცი პროცენტით შეასრულებდა გეგმას!

ცხრა ეპიზოდი



ვინ ვის აჯობა?

ქოლაბალაბარში

— ძია, ორი კილო ლობიო მინდა, ნახევარი კილო ქომბოსტო, სამი კილო ხახვი, ოცი მანეთიდან ხურდას რამდენს დამიბრუნებ?

— ოთხ მანეთს...

— გმაღლობთ ძია, მართლა რაიმეს უიდგა კი არ მინდა, სკოლაში ზომცეს ახალი ამოცანა.

„ჟურუნველი" მამა

— ბუჩაზე მეოთხე კლასში გადასულხარ ჩემო ცუგრუნელა! რაგომ აქამდე არ ამბობდი, შე ცუდლუტო?

ხდება ასე

— როგორი ჩემი შვილი ხარ: ხამ ხაგანში სუფთა მიიდე!

ასეც ხდება

— როგორი ჩემი მამა ხარ, ოთხ ხაგანში ხუფთა მიიდე!

ქომპლიმენტი ორმაგ გადაკეთებულს

ხოგიერთ სკოლებში ცალკეული ორგანიზაციის წარმომადგენელი კომპლიმენტებს უბრალოდ იფრიდენ თავს.

— ეხ, ბიჭებო, ორი :დგილია გვაქვს, ვინც დაუთმობს, ფრიადი ჩუბუნი იყოს!

1. ბუნაგი გაიცალა

ფეხბურთელთა გუნდმა, ვანამ წუალობით, დდეკანდელი თამაში ხუთით ორზე მოიგო.

2. ბუნაგი გაიცალა...

ვანომ, ბურთის წუალობით, ხაგნები, ხუთი — ორზე დაამთავრა...

აჯობა

— მოასწრო მაშინ, თუ იცი?

— ვერა, მასწავლებელმა მოასწრო, მიშა ხომ წყნეულან იწერდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფერად-ფერადი ამბები

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირადი საქმისათვის, წვრილმანი საქმისათვის ამ დღეებში გახლდით ქუთაისში და ზესტაფონში. მკითხველის გასართობად ცოტა რამ შევაგროვეთ, ინებეთ:

ცერცვი კედელს

ალექსანდრე მაკედონელს, ამბობენ, განსაკუთრებით უყვარდაო თავისი გვარი. დიდ პუშკინს, დანამდვილებით ვიცით, უყვარდა თავისი გვარიც და გენეალოგიაც. ყველამ იცის: პირველმაც და მეორემაც დაიპყრო მსოფლიო—ერთმა ხმალით, მეორემ—კალმით.

ნება მოგვეცით ამის შემდეგ გკითხოთ იცნობთ თუ არა თქვენ ნიკოლოზ ცერცვაძეს, რომელსაც, მართალია, მსოფლიო არ დაუპყრია, მაგრამ სამაგიეროდ ქალაქი ზესტაფონი „აღებული“ აქვს და თავის გვარზეც არანაკლებაა შეყვარებული?

აი გაიცანით!

ამას წინათ ზესტაფონის მოსახლეობა აღაფრთოვანა დიდმა აფიშამ, რომელიც იუწყებოდა ცაგარლის ცნობილი პიესის — „რაც გინახავს ვეღარ ნახავ“-ის დადგმას.

აფიშა იუწყებოდა:

დადგმა—კ. ცერცვაძე.

სამხატვრო ნაწილის გამგე—კ. ცერცვაძე.

დირექტორი—კ. ცერცვაძე.

„გიჟუას“ როლში—კ. ცერცვაძე.

სამწუხაროა, რომ აფიშაში, როგორც სჩანს, არ ჩატეულა დანარჩენი ტიტულებიც: სცენარიუსი კ. ცერცვაძე, მხატვარი კ. ცერცვაძე, სცენის მემანქანე კ. ცერცვაძე, გრიმიორი კ. ცერცვაძე, თანაავტორი კ. ცერცვაძე, კოსტუმები კ. ცერცვაძისა, ზესტაფონის თეატრი კ. ცერცვაძე და ასე დაუსრულებლივ.

„რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“—მშვენიერი კომედიაა, მაგრამ უბედურება იმაშია, რომ ზესტაფონის თეატრი ხედავს იმას, რაც არასოდეს არ უნახავს.

ეარდა ამისა, ირკვევა ფრიად სამწუხარო გარემოება: თურმე საშინლად სტყუის ზოგჯერ ქართული ანდაზა. მაგალითად, ყველას გაუგონია ასეთი ანდაზა: „კედელს რომ ცერცვი შეაყარო, ზედ არაფერი დარჩებაო“. ცხადია, ახლა ეს თქმულება საჭიროებს აშკარა კორექტივს. ჩვენ ზევით დავინახეთ, თუ რამდენი ცერცვი შეაყარეს ზესტაფონის თეატრის კედლებს, მაგრამ აბა თუ ერთი მაინც ჩამოვარდეს.

საქმე იმაშია, რომ ადგილობრივი გაზეთი „მშრომელთა ენტუზიაზმი“ მაინც ვერ არის კმაყოფილი—ცერცვაძის მუშაობით. იგი ასეთ დახასიათებას აძლევს უკანასკნელს:

„თეატრის ხელმძღვანელობა ძალზე ცუდად მუშაობს... თეატრმა გარღვევებით დაამთავრა 1939 წელი... დირექტორი მსახიობებს ხსნიდა სამუშაოდან სათანადო დანაშაულის გარეშე...“ და ასე შემდეგ.

„ავანსი“...

მეორე შემთხვევა ტელეფონთანაა დაკავშრებული. ქუთაისის სალაპარაკო სადგურში ველოდები თბილისს. ნომერი შეკვეთილია, ვიცდი მთელი საათი.

— თბილისი ვეღარ ასწრებს კლიენტების დაკმაყოფილებას. მობრძანდით 12 საათზე! მივედი. ვიცადე ორი საათი. მეორდება იგივე პასუხი: მობრძანდით 5 საათზე. მივედი. ველოდე ორი საათი.

— იცით, თბილისი ვეღარ ასწრებს კლიენტების დაკმაყოფილებას!—არის ისევ პასუხი.

იმ წუთშივე ტვინი საუცხოო აზრმა გამინათა. დაუყოვნებლივ გამოვდივარ სადგურიდან და პირველ დაწესებულებაშივე ტელეფონით ვუკავშირდები საქალაქთაშორისოს.

— მე მინდა თბილისი—3—29—71!

— მითხარით თქვენი ავანსის ნომერი!

დიდხანს ლოდინი არ დამჭირებია. თბილისს ველაპარაკე.

დასკვნა: ნუ თუ ქუთაისის ტელეფონის ქსელის სამმართველოს ჰგონია, რომ ქალაქთაშორის მოსალაპარაკებელი სადგური, რომლის აგება ასეული ათასი მანეთი დაჯდა, მოწყობილია ბოცლილთათვის?

აქ დიდ პატივშია, სახელმწიფო თანხებით კერძო ლაპარაკიც.

პარაშუტით მეორე სართულიდან...

მესამე შემთხვევას არავითარი კავშირი არა აქვს ტელეფონთან, მაგრამ უშუალოდ ეხება პარაშუტიზმის განვითარებას.

ძალიან ორიგინალური ამბავია:

ქუთაისში მცხოვრებს გ. სარდალიშვილს ორი, თუ სამი წლის წინათ ნება დართეს დაეშენებინა ერთი სართული ბერიას ქუჩაზე მდებარე დარაბისათვის—სწორედ მწვანე ბაზრის შესაყალთან. გახარებული სარდალიშვილი დატრიალდა და მალე ერთი მშვენიერი სართული წამოჭიმა.

ყველაფერი მზად იყო და სარდალიშვილის ოჯახი უახლოეს ხანში, როგორც იტყვიან ხოლმე, „ბინის დასველებას“ აპირებდა, მაგრამ სიტუაცია უეცრად შეიცვალა პარაშუტიზმის სასარგებლოდ.

სარდალიშვილს აეკრძალა გაეკეთებინა კარები მეორე სართულზე შესასვლელად. მშვენიერი ბინა 80 კვადრატული მეტრის ფართობით დარჩა წამოსკუპებული მეორე სართულზე, ხოლო მისი ფიქტიური მფლობელი ყოველ დილით მოპირდაპირე სახლის მეორე სართულიდან იჭვნეულად შეიხედავს ხოლმე თავის ბინაში — რომელიმე თავმოძულებული ხომ არ შესახლებულა შიგ ღამითო.

ჩვენ ვურჩევთ სარდალიშვილს სასოწარკვეთილებას ნუ მიეცემა. გამოსავალი არის: საჭიროა დაშენებული ბინის სახურავზე გაკეთდეს პატარა აეროდრომი ორი პატარა თვითმფრინავისათვის, ხოლო ბინაში ჩასავალი მოეწყოს ამ აეროდრომიდან. ყოველ დილით ოჯახის წევრები ჩამოეშვებიან ქვაფენილზე პარაშუტით. მოილევენ საქმეს და გაეშურებიან ქალაქის აეროდრომისაკენ, რათა თვითმფრინავით დასკუპდნენ საკუთარი ბინის სახურავზე.

მრავალგვარი უპირატესობა აქვს ასეთ ტექნიკას. ჯერ ერთი სახლში ვერავინ შემოგისახლდება (რაც ქუთაისში სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს), მეორე—გადარჩები კომგანში ყოველდღე ნერვების აშლას კარების გაკეთების ნებართვის ირგვლივ, მესამე—ქურდს გაუჭირდება ასეთი ბინის გაქურდვა, რადგან ზევით ასაფრენი პარაშუტი ჯერ გამოგონილი არ არის და სხვა და სხვა.

გენო ლიაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფუძვლიანი შეკითხვა



— ეს არის შიმპანზე. იგი ჩვენი ახლობელი ნათესავია.
— მაშ შენთან რატომ არ მოაწყვე სამსახურში?

ჟენია ვაშაკიძის რომანი

(ნამდვილი ამბავი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამიოდე თვის წინად ერთერთ დაწესებულების დიდ გარდერობში ვხვდები ახალგაზრდა ქალს ჟენია ვაშაკიძეს. მას რედიკულში კომკავშირის მანდატი უდევს.

ჟენიას თავისებური „დიალექტიკა“ აქვს. მისთვის ყველაფერი დასახურდავებელი და გამოსაცვლელია ისე, როგორც რედიკულში ჩადებული ქაღალდის ფული, ან ცხვირსახოცი. ჟენიას არ აწუხებს არც ბაირონის სევდა, არც ახალი ქვეყნის საარსებო საკითხები. მას არ აინტერესებს არც წარმოების გეგმები, არც საკუთარი თავის აღზრდა.

„სხვაგან ჰქრის მისი გონება
მიხმა თავისა წონამან...“

ერთი სიტყვით, ჟენია გარდერობშია. დიდი სარკის წინ, იყურება და საკუთარ სახეს აკვირდება.

სდგას ჟენია სარკის წინ და მისი ფიქრი ბაგეზე და წარბებზე საღებავების განლაგების შემოწმების შემდეგ მთავარ თემაზე გადადის. მისი ოცნება გულჩვილ მამაკაცთა გრძნობის დამატყვევებელ ბადეებს ქსოვს. ქსელებს ხლართავს.

დაწესებულებაში. სადაც ჟენია მსახურობს, მსახურობს აგრეთვე ახალგაზრდა კაცი, სახელად ზეტი...

სხვადასხვა მოსაზრებებით, „ზეტის“ ნამდვილ სახელს არ ვახსენებთ. ჰო და ჟენიასთან ერთად მსახურობდა ზეტი—კაცი ბეჯითი, გულწრფელი, მიმნდობელი და მისანდობი.

—„სხვები ხელიდან მისხლტება
როგორც მიმინოს ციცარი“
გაიცლო გულში ჟენიამ
და ზეტს უმიზნა ისარი.

— მერე რა არის აქ სათაკილო? თუ ქალს ბუნებრივი და ყალი გრძნობა ამოქმედებს. უმიზნოს. ჩვენ რა გვენაღვლება?—იტყვის მკითხველი.

— ოღონდაც. თუ კი აქ მხოლოდ გრძნობათა ბუნებრივ თამაშთან გვაქვს საქმე.— უმიზნოს. არც ჩვენ გვენაღვლება, მაგრამ ჟენია, როგორც ქვევით დავინახავთ, „ამურის ისარს“ სხვა რამეს უმიზნებდა.

ჟენიას ეშხით მოხიბლულს
ბაბუკს თვალები დაება,
დაათრო ქალის ღიმილმა,
ზეტი მახეში გაება.

— ცოლად წამომყვები?—ლუღლუღებდა ზეტი.

— წამოგყვები; მაგრამ ხომ იცი. საცოლეს რა უნდა.

— მაშ, შევქმნათ ახალი ოჯახი.

— მე მზადა ვარ.

„გამარჯვებული“ ზეტის გული ხღვასავით ღელავდა. იგი ხელში ხელჩაკიდებული მიაცილებდა „მის ღვთაება“ ჟენიას. ქალის ხელის სითბო ვაჟს ელექტრონის მსგავსად ექსოვებოდა. როდესაც მაღაზიის ვიტრინას გაუსწორდნენ. ჟენიამ ფეხი დუგლაძის ცნობილ ცხოველივით მიასო. ზეტიც იძულებული იყო შეჩერებულიყო.

—„რა მშვენიერი ჯერსეებია, რა მომხიბლავი კომბინეები!,—„უნებლიედ“ წაილაპარაკა ჟენიამ.

— მოგწონს?

— ეს იისფერი მაინც კარგია.

ზეტი „თავის“ დულცინეასთან ერთად მაღაზიაში შევიდა. ჩეკი აიღო და ქალს იისფერი ჯერსეს კომბინე მიაწოდა.

— ის შავიც კარგი ფერია.

ზეტმა შავიც საჩქაროდ იყიდა.

— მომწვანო! რა საუცხოოა.

ისიც უყიდა.

— ხედავ? ხორცისფერიც ყოფილა! ხორცისფერი კომბინე ყველა ფერს მირჩევნივ.

— ექვსი ცალია დარჩენილი, საშუალო ზომისაა, თუ ჩაეტევით? თქვა გამყიდველმა.

— გაიწელება.— მოუჭრა ჟენიამ.

საქმრომ „საცოლეს“ თვალი შეავლო. შემდეგ დამსწრეებს ამაყად გადაჰხედა და ექვსივე ცალი გამოიწერა.

როდესაც ჟენიამ „ნადავლი“ სახლში მიიტანა გაბნნა, ლოგინზე მიაფინა და გულში გაიფიქრა;

„მე ირემს ვუმიზნებ და ჯერჯერობით კი მხოლოდ ბეღურები დავხოცე. არაფერია. ესეც კარგი ნიშანია“.

ზეტთან მეორეთ გასეირნებისას ჟენიამ ვიტრინასთან ფეხი ერთი ცხოველივით მიასო.

ზეტი გულის გუმანს მიუხვდა და ჟენიას კრეპ-დე-შინის საკაბე გაატანა.

— შეკერვაში თორმეტ თუმანს მომთხოვენ.—ჩაულაპარაკა ზეტს ჟენიამ. და თავის უმანკო მსხვერპლს ჩათვლემილ ნიბლიასავით მინაბული თვალის ისრები დაუმიზნა.

— ორასი იყოს! სხვა რამეშიც დაგჭირდება!— რაინდულად მოუჭრა ზეტმა და თავის „მომავალ მეუღლეს“ ნასესხები ხუთასი მანეთიდან დარჩენილი უკანასკნელი ორასი მანეთიც გაატანა.

გამომმვიდობებისას ზეტმა ჟენიას მკლავზე ამბორი დაუპირა:

— არა! ჯერ არ შეიძლება!—მკაცრად გააფრთხილა ჟენიამ.

***

— თუ გულწრფელად გადაწყვიტე ჩემი მეგობრობა. ბარემ ახლი მოვაწესოთ.— უთხრა ჟენიას ზეტმა.

— ეჭვი ვეპარება? კუბოს კარამდე არ გიღალატებ.

— კუბოს კართან კი მიღალატებ?—უთხრა პასუხით გამხიარულებულმა ზეტმა.

— არც კუბოს კართან!

— რა დიდებულია შალვა დადიანის რომანსი „მხოლოდ შენ ერთს“. ზღვა გრძნობას ხატავს მისი სიტყვები:

„საფლავშიაც,
აქაც.—იქაც...
—შენთან ერთად!
„შენთან ერთად“—

ჩამოართვა ჟენიამ ორი უკანასკნელი ტაეპი.

მმაჩში შეიარეს და ხელი მოაწერეს.

— ბარემ დღესვე გადმოდი ჩემთან ბინაზე— უთხრა ზეტმა.

— რა გეჩქარება. ახლა ხომ დარწმუნდი, რომ სამუდამოდ შენი ვარ. ჯერ უნდა მოვემზადოთ, მეც პირადად ბევრი რამ მაკლია.

— შენ სიტყვაზე იყოს. მითხარი და ყველაფერს აგისრულებ.

— საქმე კარგად მიდის: უკვე ღრმად შევცურე. ჩულქებს და ტუფლებს ერთად ვაყიდვიებ, საპალტოე მეგულებული მაქვს., საბარჯო ფულსაც სადმე ასესხებიებ და მერე...

ზეტმა ყველაფერი შეუსრულა.

— საქორწილოდ რომელი დღე დავნიშნოთ?—შეეკითხა ზეტი.

— სამი დღის მერე იყოს.

— მაშ კარგი. სამი დღის შემდეგ ქორწილი გვაქვს.

— კარგად მოემზადე.

— თავს გამოვიდებ. მეგობრებსაც დავპატიჟებ.

— აგრე! აგრე! მხოლოდ მეც ვინდა კიდევ ცოტა მომზადება

— მოემზადე მეგობაო.

— მომზადებისათვის ფულია საჭირო.

— ხვალ მოგიტან.

მეორე დღეს ზეტი ჟენიას სამსახურში შეხვდა. ნასესხები ფული გადასცა „წვრილმანი“ ხარჯებისათვის და მხიარული გამომეტყველებით წარმოსთქვა:

—მაშ ხვალ ჩვენი ქორწილი იქნება!

— იქნება!—დაუდასტურა ჟენიამ.

***

ქორწილის დღეს ზეტის ბინაზე ოცზე მეტმა ახალგაზრდამ მოიყარა თავი. ოთახი სტუმრებს ძლივს იტევდა. ზეტის ყველა მახლობელი იქ იყო, მხოლოდ.

თგიღისის უნივერმაღი

ნოქარმა უთხრა ნოქარსა
მო, დავეწაფოთ წყაროსა,
უშრეტსა გამხარებელსა
საქაფავ საქანქაროსა.“

— ამინ!— შესძახა მეორემ
ბაშუსტა მეგობაროო,
სად გეგულება მასწავლე
ეგ საქანქარო წყაროო?!

— სად?! ჯითხვა უნდა მაგ საქმეს?!
ვაჟკაცი ცხენზე მჯდარიო,
გამვლელებს ეკითხებოდა
უნაგირი სად არიო.

თუ თავში ოფოფს არ აფრენ,
ცისკენ არ მიერეკები,
რატომ არ იცი, ბედში ხარ
როცა ხელში გაქვს ჩეკები.

ვწეროთ და სხვაგან ნუ გამთქვამ:
შენც ისარგებლე სარიდან
ჩვენს მოძმე გადამყიდველზე
გავცეთ უკანა კარიდან.

ან ჩვენ ძმა ბუღდანს მივბაძოთ:
მან საათები პატარა,
სანამ მის ხალხი არ გაჩნდა,
სამი დღე ჯიბით ატარა.

შენი განზრახვის ჭირიმე,
გეკუთვნის ჩვენგან ქებაო,
მაგრამ ეგ წესი უებრო
ჩვენც კარგად გვეხერხებაო.

ჩვენც კარგად ვიცნობთ მაგ
„შანსებს“
საქაფავ-საქანქაროსო,
და ჩვენს ძმებს გადამყიდველებს
სავსეს ვახვედრებთ თაროსო.

სიპიტო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მხოლოდ „დედოფალი“ არსად ჩანდა.

— ჯერ ადრეა. ზეიმის დროს 6 7 საათზე ადრე არც კი ჯდებიან სადილად. თავის დროზე მოვა.— ნუგეშობდნენ შინაურები.

მოვიდა საღამოს შვიდი საათი. რვა საათი. უსადილობის გამო მომხეულ სტუმრებს ყელი გაუშრათ.

— ჩვენ დავიწყოთ და ისიც მოვა.

— ჯობია. სუფრაზე შემოსწრებულად მოსვლას მეტი ხალისი ექნება.—გადასწყვიტეს ზეტის „მაყრებმა“.

გადასწყვიტეს და ვახშამად ქცეულ სადილის ჭამას შეუდგნენ. ქეიფის ხალისი მოდუნებოდათ. ყველანი კარებისკენ იცქირებოდნენ...

მოვიდა 9 საათი. 10 საათი. „დედოფალი“ არსად ჩანდა.

ბინაზე კაცი გაუგზავნეს.

„შინ არ არისო“ — მოიტანა ცივი წყლის გადამსხმელი პასუხი.

მიხვდნენ ქენიას ვერაგობას.

***

მეორე დღეს გამოირკვა, რომ ქორწილზე მოსასვლელად ქენიას მართლაც „არ სცალებოდა“. რადგან ქორწილის ღამეს იგი... ოპერაში წასულიყო.

***

— რატომ მოგვეპარი თავი? რა უქენი იმ კაცს, როგორ გაამასხარავე ყველაფერი?— უთხრეს მეორე დღეს ქენიას მახლობლებმა.

— არ მეცალა, ოპერაში ვიჯექი ავი.

— რა გეოპერებოდა. კაცთან ხელი მოაწერე, ქორწილი დაანიშვნიე ..

— რომ მოვაწერე ეგ არაფერსაც არ მავალებდა. ქორწილის წინა დღით მე უკვე შევიტანე მაჩში განცხადება და განქორწინების მოწმობა მივიღე. აი, თუ არ გჯერათ...

ერთხელაც ქორწილის წინადღეს. როდესაც მომავალი „დედოფალი“ ზეტს ქორწილის გამართვას ავალებდა, თვით სადედოფალო მმაჩში წასულიყო და განქორწინების მოწმობით მომარაგებულიყო.

— კაცს წინასწარ განზრახულად ნასესხები ფულით თავი გამოაწყობიე, ხელი მოუწერე, ქორწილი დაანიშვნიე და ახლა უარს ეუბნები?! მაგისთანა ხნედაცემულობას არ ჩაიდენს არც ერთი ქუჩის...!— სამართლიანად შენიშნა ერთმა ნაცნობთაგანმა.

მის შენიშვნაზე ქენიამ უკმეხად უპასუხა:

— არ მინდა და არ მივყვები პატარა ხელფასი აქვს. ჩემისთანა კეკლუც გოგონას სამასთუმნიანი პროფესორი არ დაიწუნებს და სამასმანეთიან კულტმუშაკს რად უნდა გავყოლოდი?

***

როდესაც ქენიას კომკავშირის ბილეთი ჩამოართვეს, იგი მაშინვე პარტიის რაიკომში გაეშურა და რაიკომის მდივანს შეჰღალადა „პარტიის ხაზის უხეში დამახინჯება“...

— რას მერჩიან, პატარა ხელფასი ჰქონდა და არ გავყვევი... რა ვუყოთ მერე, რომ ტანსაცმელი ვაყიდვიე, ქორწილი დავანიშვნიე, რატომ დამიჯერა თუ ასე არ უნდოდა! რას მერჩიან, რა მოხდა ისეთი?

***

მკითხველს ალბად აინტერესებს სად იმყოფება ახლა ქენია ვ-ძე? „იგი ალბად ან სულით ავადმყოფთა სამფლობელოში უნდა მკურნალობდეს და ან გამსახლის კამერაში უნდა „ისვენებდეს“.

— იტყვის მკითხველი.

ქენია თავისუფლად ცხოვრობს თბილისში. თავს არხეინად გრძნობს, იგი სამსახურშიც ხლარობავს ქსელს ახალი მსხვერპლის გასაბმელად. მაგრამ სანამ გააბამდეს პროკურორმა გულდასმით უნდა შეამოწმოს ქენიას საქმენი საგმირონი. შეამოწმოს, რამდენად „სასახელოა“ ქენიას საქციელი საბჭოთა მუშაკისათვის და ხომ არ უჭერს ქენიას ბეტისაგან გამოძალვის გზით ხელში მოგდებული ტუფლები?

მედუზა.

ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲥᲐᲠᲑᲣᲥᲨᲘ

ბორჯომის რკინიგზის სადგურში მომუშავე ქალი ამხ. გველესიანი ვერა რომ აქტიურია, ჩვენ ეს გვჯერა, მაგრამ რამდენ დავალებათა შემსრულებელი იგია, ვერ გაგვიგია.

ამხ. გველესიანი წითელი ჯვრის კომიტეტის თავმჯდომარეა. მას ეხება—საქმის შეხება, მუშა-მოსამსახურეთა გაწევრიანება, სანრეიდების მოწყობა, წითელი ჯვრის მეურნეობის დალაგებადაწყობა. მსთ წრის ჩამოყალიბება და ხალხისათვის პირველი დახმარების გაწევა, მოკლედ—წითელი ჯვრის საქმიანობის წინ წაწევა.

— წიგნებზე არ მუშაობ, როგორ შეგიძლიან გამოცდა ჩაბარო ამ სერიოზულ საგანში?

— სამაგიეროდ იმ კურსების მსმენელად ვითვლები, სადაც ასწავლის პედაგოგი, რომელიც ინსტიტუტში გამოცდებს იბარებს ამ საგანში.

ვერა თავმჯდომარეა ქალთა საბჭოსიც. ატარებს ქალთა საბჭოს სხდომებს, სწერს ოქმებს, საზოგადოებრივ სამუშაოზე რაზმავს ქალებს, მაგრამ დახეთ მას მაინც არავინ იბრალებს.

ამხ. გველესიანი პროფორგადაც აირჩიეს, ზოგ-ზოგის რჩევადარიგება არ ირჩიეს და მიადევნეს ვერას მეურნეობა პროფკავშირული. მოკლედ პროფხაზით მუშაობას ეწევა, მაგრამ დახეთ, აქ მეოთხე დავალება წამოეწევა.

ნახეთ დაწეულ დავალებებს კიდევ რა მოჰყვეს: ვერა გაზეთის გამავრცელებლადაც გამოჰყვეს. ყველას უწერს ჟურნალს და გაზეთს და განუწყვეტლივ ეწევა ის შრომას ასეთს.

მაგრამ გველესიანი ამის შედეგადაც კვლავ ასახელეს, იგი კულტარმიელადაც დაასახელეს და ასწავლის ქალი ანსა და ბანსა, არავინ კითხულობს დროსა და ჟამსა. პეტრეს ეხლა სცალია, ვანოს კიდევ არა, ვნახოთ მაშომ საღამოს ათ საათზე შემოიარა—ვერა უცდის ყველას, უწევს მათაც შველას.

ადგილობრივმა ორგანიზაციებმა დასკვნა მიიღეს მჭევრი, სთქვეს: ეს დავალება არ არის ბევრი. და ვერა გახდა ურთიერთდამხმარე სალაროს კომისიის წევრი. მას იქაც მუშაობა უხდება, ამდენს ვერ შესძლებსო,—არავინ სწუხდება.

დადგა საკითხი იმის შესახებ, რომ მტვირთავ მუშებში უნდა გამოეყოთ აგიტატორი, აქ შეიძლება აერჩიათ მიხაკა, ან პლატონი, მაგრამ ამაზე სულ არ იფიქრეს, საქმის ვითარება არ გაიოცეს და ეს მე-7 „ნაგრუზკაც“ მას მიულოცეს.

ვერას შინაც ბევრი საქმე ხვდება, დასვენების და ძილისთვის მცირე დრო რჩება. და დილით ამდგარს მას ელანდება: წითელი ჯვარი, აგიტაცია, გაზეთის კითხვა და მუშაობა პროფკავშირული, ქალთა საბჭოში საკითხის დასმა მცირე მცოდნეთათვის ანბნების ასხმა, ერთის სიტყვით შრომა გმირული.

როგორ შეიძლება ასე დატვირთვა ერთი ქალის? დაწესებულებაში სხვა არავინ არის?

ᲫᲜᲔᲚᲘᲚᲘ

სინიდისმა შეაწუხა

ნახ. ან. კანდელაკისა.

— გვეყოფა, ძმოსანო, ჯერ პატრონს ორი კოვზიც არ აუღია და ჩვენ უკვე ნახევარი მათლაფა გადავსანსლეთ...

აკაკი წერეთლის ფოსტა

თავის ყოველთვიურ ჟურნალ „კრებულში“ (პირველი გამოვიდა 1897 წლის სექტემბერში) აკაკის ხანგაშვებით ჰქონდა „უბრალო საუბარი“ ანუ მიწერ-მოწერა მკითხველებთან. აკაკის „ფოსტა„ გონებამახვილობის შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს. ქვემოდ მოგვყავს ზოგიერთი ადგილი „კრებულის„ ფოსტიდან:

ერთ ჩვენს აგენტთაგანს. გვირჩევთ. ვეცადოთ, რომ დიდსა და პატარას ყველას მოსწონდეს ჩვენი „კრებული“ და რომ შიგ საწყენი არავისი არ იბეჭდებოდეს. კარგი რჩევაა, მაგრამ ერთ არაკს მოგვაგონებს: ერთი ვინმე ბატონ-კაცი მისთანა მოურავს ეძებდა, რომ სამოურავოში ყველა მოემადლიერებია. ეს არ მოხერხდა და უმოურავოთ დარჩა. ერთხელ მივიდა მასთან ერთი ვინმე და მოახსენა.

— მე ვიკისრებ თქვენს მოურავობას, თუ ამ შეკითხვებზე მიპასუხებთო: 1) დარი ჯობია თუ ავდარიო? და დღე უკეთესია თუ ღამეო?

— რა თქმა უნდა, დღე ღამეზე უკეთესია და ავდარს დარი ჯობიაო — უპასუხა ბატონ-კაცმა. არ დაეთანხმა პირველი და თავ-თავის აზრის დასამტკიცებლად დაიწყეს აქეთ-იქით სიარული და შეჰქნეს მოკითხულობა. მივიდენ ერთ ოჯახში. აქ ყველა, ქალი და კაცი, ცხვირ-პირ ჩამოშვებული დაუხვდა და უკმაყოფილოდ წუწუნებდნენ.

— რა კარგი იქნებოდა, რომ იმ დალოცვილ ღმერთს ერთი ორი დღე კიდევ დაეცლია და დარი ყოფილიყოო?! ახლა ხომ დავიღუპეთ და ამოვვარდითო!..

შევიდენ მეორე ოჯახში — მეზობლისას. აქ კი ყველა მხიარულად იყო.

— მადლობა ღმერთს! გვეშველა, ძლივს არ გაწვიმდაო!.. ერთი ორი დღე რომ კიდევ დარები დაეჭირა, შენი მტერი ამოვარდნილა, ჩვენ ამოვვარდებოდითო!. გამოიკითხეს მიზეზი და რა გამოდგა: პირველი თურმე მეპურეს ყოფილიყო და ქოთნების გაშრობა ეჩქარებოდა, მეორე კი მეწალკოტე (მებაღე) და გვალვას შეეშინებია!.. ასე, ამ გვარათ. მთელი დღე იარეს და სადაც კი იკითხეს, ზოგს დარი ენატრებოდა და ზოგს ავდარი!.. მიზეზსაც სულ სხვადასხვას ამბობდენ.

მაშინ მიუბრუნდა ბატონს მოურავი და მოახსენა: ახლა ეგ ადამიანი, თუ კი ყოვლის-შემძლებელს ვერ მოუხერხებია, რომ ერთსა და იმავე დროს, ერთიცა და იმავეთი ქვეყანაზე ყველა დაკმაყოფილოს, შენი მოურავი როგორ ან ვინ ახერხებს ყველა მოიმადლიეროსო?... ამისი არ იყოს, შექსპირსა ჰყავს დამწუნებელი და ჩვენი „კრებული“ რაგორ შეიძლებს, რომ ყველას მოსწონდეს და ყველა მოიმადლიეროს? კაცმა თავისი მოვალეობა უნდა გულწრფელად მოიხადოს ხოლმე და კმარა, თორემ, თუ იმას გამოუდგა და აჰყვა, ვინ რას ამბობს, ვის სწყინს და ვის არაო.— ის ვეღარას გააკეთებს!...

თფილისში,— ბ. ა... ის. გვიბრძანებთ, თქვენო აღმატებულებავ, რომ დღეიდან „კრებული“ თქვენი მსახურის სახულობით ვაგზავნოთ ხოლმე? თქვენი ნება გახლდეთ! აქამდი პირდაპირ თქვენ მიტომ გიგზავნიდით, რომ თქვენი სახელით იყო გამოწერილი და დარწმუნებული მ ა შ ი ნ ა ც - კ ი ვ ი ყ ა ვ ი თ, რ ო მ ლ ა ქ ი ა ს მ ი უ დ ი ო დ ა.

ჩ ვ ე ნ ს კ რ ი ტ ი კ ო ს ს. ზეპირ-სიტყვაობის შესახებ რაც მოგეწერათ. ვიგულისხმეთ და ის დასკვნა გამოვიყვანეთ, რომ თქვენც, სხვებსავით, „ვითომდა ინტელიგენციურ“ ენის ქავილს გაუტაცნიხართ!.. თქვენ გამკეთებელი გვიბრძანეთ, თვარა გამფუჭებელი და ხელის შემშლელი ბევრია. ჩვენი უბედურებაც ისრის, რომ ერთმა ვინმემ, თუ საქმეს მოჰკიდა ხელი, სხვები, მოხმარების ნაცვლათ, ხელს უშლიან!..

„უსისტემოთ ბეჭდავთო“— ბრძანებთ!.. გაგიგონიათ ჭრეკენო და სად და როდის, ის კი აღარ იცით!.. მე მხოლოდ მასალას ვაგროვებ ზეპირასიტყვაობისას და ვბეჭდავ, რომ ერთად ყველასათვის ხელ-მოსაკიდებლათ, იყოს შეგროვილი და მერე, თუ თვითონ მე ვეღარ მოვესწრები, გამოჩნდებიან სხვები-ჩვენზე უფრო კარგები და გაარჩევენ სისტემატიურათ. ჯერ მასალა არ მოგროვებულა და თქვენ კი შენობას თხოულობთ! აბა, რომელი ჭკუათა მყოფი ეტყვის ხუროთმოძღვარს, როცა ის ჯერ მარტო მასალას აგროვებს. რომ შენ უპლანოთა და უსისტემოთ შედგომიხარ საქმესო? და რაც შეეხება თქვენს მესამე დარიგებას: „სხვებს აცალეთო“— სწორე მოგახსენოთ, ეგეც უსაფუძვლო რჩევაა და ერთ არაკს მოგვაგონებს:

ერთ სახლში ქურდი მოიპარებოდა. ყველას ეძინა და ბებერმა გაიგო; მეტი რომ ვეღარა შეიძლო რა, ყეფა დაიწყო და გააბრუნა შეშინებული ქურდი. მეორე დღეს შვილებმა უსაყვედურეს. ყეფა რა შენი საქმე იყოვო.

— რა მექნაო უპასუხა ბებერმა,— თქვენ ყვავლას გეძინათ... ის ოხერი ძაღლებიც არა ჰყეფდენ და მეც რომ მანამდი მომეცადა, სანამ ან თქვენ გამოიღვიძებდით და ან ძაღლები გაიგებდნენ, აღარაფერს შეგვარჩენდა ქურდიო, მისი არ იყოს, მეც როდემდის უნდა გიცადოთ? დღემდი ცოტა ხანმა გაიარა, რომ თქვენ ხელი არაფრისთვის მიგიყვიათ?!. და თუ მიგიყვიათ, ნაყოფი სად არის?

მახსოვს, და თქვენც იცით, ჩემ სიყმაწვილეში ერთმა ახალგაზდა ქართველმა შეაგროვა ბევრი ხალხური ზეპირ-გადმონაცემი. ერთხელ დავეკითხე მე:

— ეს კარგი, რომ შეგიგროვებია, მაგრამ რაღას უცდი, რატომ არ გამოსცემ-მეთქი? დინჯათ ხელი მაღლა აიღო და მიპასუხა:

— „ფაფა გგონიაო?.. ჰალა-ჰალა ხომ არ არის ამის გამოცემაო?! ამას გარჩევა უნდა, გარკვევა, შესწავლა და მერე დაბეჭდვაო“. მას აქეთ აგერ ნახევარი საუკუნე გარბის, სიბერით მეცა და იმასაც ორივეს წვერ-ულვაში დაგვცვივდა და „ფაფა“ კი ისევ უხარშავია! ამ დღეებში შევხვდი და ვთხოვე: თუ შენ არას აპირობ, მე გადმომეცი და დავბეჭდავ მეთქი. დარბაისლურად ბოდიში მოიხადა და მითხრა:

— „ნუ გეწყინება და ვერ გადმოგცემ — მე თვითონ მინდა გამოვსცეო“.

ჭეშმარიტათ რომ მიამა და ვჰკითხე: მალე გამოვა-მეთქი. იმ დალოცვილმა ისევ ისე ძველებურათ დინჯათ აიღო ხელი მაღლა და მითხრა:

— ვა! ფაფა გგონიაო?! ჰალა-ჰალა ხომ არ არის იმის გამოცემაო? ამას გარჩევა უნდა, გარკვევა, შესწავლა და მერე გამოცემაო! გამეცინა...

ზეპირ-სიტყვაობა ისეთი დაულეველი ზღვა არის, რომ არა თუ ერთი-ორი, ათასი შემკრებელიც ვერ დააშრობს. თქვენც შეუდექით და იმუშავეთ, ვინ გიშლით?!

ა ს ა ლ გ ა ზ რ დ ა მ წ ე რ ა ლ ს. დიდი სიამოვნებით ვასრულებთ თქვენს თხოვნას და გაძლევთ რჩევას. იწერებით, მწერალს რა ეჭირვებაო? აი რა: 1) უნდა ნიჭი ჰქონდეს. 2) დრო და ჟამის შესაფერათ უნდა იყოს ნასწავლი და განვითარებული, 3) უნდა შესწავლილი ჰქონდეს ის ენა, რომელზედაც აპირობს წერას. 4) გულ-წრფელი უნდა იყოს და პირადობა შესწიროს საზოგადოს და მზათ იყოს, რომ გაჭირვება და უსამართლობა აიტანოს ხოლმე, აი, თუ ამას ყოლიფერს გრძნობ შენში, მაშინ აირჩიე საზოგადო ასპარეზი და უამისოთ კი, რომ შენც, სხვებსავით, ნახირში გამოერიო მეცამეტე გოჭივით,— რა სარგებელია? და თუ საზოგადო მოღვაწეობას ისე უყურებ, როგორც ცხოვრებაში გამოსადეგ იარაღს, რომ მითი ქვეყნის თვალში ძალა შეიმატო, უმეტესობას თვალი აუხვიო და, ზოგიერთებსავით, მარტო შენ პირად კეთილ-დღეობაზე იფიქრო, ეს ხომ ყოველ გვარ დამნაშაობაზე უარესია და ღმერთმაც გაშოროს!.. მასთანაც ამ გვარათ მოპოებული ღირსება და დიდება ხანგრძლივი საგზალი არ არის...

ამხანაგო ნიანგო

პრაქტიკული წინადადება

ამხანაგო ნიანგო! საჭიროა ვეღლისციხის აბანო ადგილობრივ სამკითხველოში გადავიტანოთ: აბანოში წვეთი წყალი არ არის, სამკითხველოში კი თავისუფლად ჩამოდის წყალი.

ამას გარდა, ეს საქმე სხვა მხრივაც მოსახერხებელია. სამკითხველოში რაიმესაც წაიკითხავს, ანავე დროს წვიმის წყალით გაიბანება და ტანსაცმელიც გაირეცხება (წვიმა რომ თბილი მოდიოდეს, მაშინ ხომ მთლად მისწრება იქნება!).

ყველა ამას გარდა, სამკითხველოს (მომავალ აბანოს) ის უპირატესობა აქვს, რომ შიგ ბნელა და თვით უმორცხვეს მობანავე-მკითხველებსაც შეეძლებათ შესვლა.

სტ. არღუთელი

ათწუთიანი საყვედური

ამხანაგო ნიანგო! სიღნაღის რაიფინგანის გამგემ ამას წინათ ასეთი ბრძანება დასწერა: „სამსახურში დაგვიანებით გამოცხადებისათვის ვუცხადებ საყვედურს ბუღალტერ ბედენაშვილს 10 წუთით და ინსპექტორ ფეიქრიშვილს 15 წუთით“.

როგორ გესმით თქვენ ეს ქართული? ან რა აზრისა ხართ იმაზე, რომ ასეთი გამგეებისათვის ერთი კოხტა ლიკსკოლა გავხსნათ?

სიღნაღელი

ცხელ-ცხელი ამბები

უსუფთაობის მსხვერპლი

გუშინ სოფ. **ენისელის** (ყვარლის რაიონი) ბაზარზე ნაგავში ჩავარდა და უცნაური სურნელების შესუნთქვის შედეგად უეცრად გარდაიცვალა გაურკვეველი ჰასაკის ღორი—მაშკა დრუნჩაძე. დასაფლავების ხარჯების გაღება ბაზრის კომიტეტმა იკისრა.

მნახველი

სენსაცია

ამასწინათ **ფოთის** გრესის მექანიკურ სახელოსნოს წითელ კუთხეში შემთხვევით შესულმა ვიღაცა მოქალაქემ გასუფთავებულ თაროებზე შემთხვევით იპოვნა შარშანდელი გაზეთი, რომელშიც ეწერა: „ამ წითელ კუთხეში ერთი წელიწადია გაზეთი არ მიუღიათო“.

გრესელი

გ ო დ ო რ ი

ქარბუქს (აბაშა)—თქვენი ლექსი მიმართულია № 1 მაღაზიის ერთერთ ნოქრის წინააღმდეგ, რომელიც თურმე „დუხში“ ხუთ მანეთს მეტს გართმევდათ, ეს იმიტომ, რომ თქვენ გონებიხართ „უსწავლელ-უჭკუო“.

ნოქარი დიახაც ცდება იმაში, რომ თქვენ „უსწავლელ-უჭკუო“ არ ბრძანდებით, რასაც ამტკიცებს თქვენი ლექსი, რომლიდანაც მოგვყავს ნაწყვეტი:

მაღაზიისა ნოქრადა
აქ არის ვინმე კაცუნა,
რომ ვკითხე ფასი „დუხისა“
წვერები დაიცმაცუნა.
ვეგონე უსწავლ-უჭკუო,
მომთხოვა ათი მანეთი,—
მითხრა: დუხია, რა დუხი,
ვერ ნახოთ სხვაგან ასეთი!
მეც გამოვართვი, მეგონა
არ შეირცხვენდა ულვაშებს,
და თურმე იგი გლახაკი
ზედმეტს მართმევდა ხუთ მანეთს.

ალბათ თქვენ გეგონათ ცხოვრობთ ძველ დროში, როცა ულვაშის თითო ღერი იმაზე მეტს მაინც ფასობდა, ვინემ თქვენი ლექსი,—რომელიც „გაგიეებით“ მომეწონა და არ შემიძლია ჩემს გოდორში არ შევინახო.

ყარამანს (თელავი) თქვენ სამართლიან უკმაყოფილებას გამოსთქვამთ იმის გამო, რომ ადგილობრივ კინოში სურათს უჩვენებენ დაგვიანებით და, ზოგიერთ შემთხვევაში,—სულ არ უჩვენებენ:

ამას წინათ კულტურის სახლს ვესტუმრე
მენახა უნდა კინო,
სჯობდა სარდაფს ჩავსულიყავ
დამელია ღვინო.
შესრულდა რვა საათი
ვგონებ მეცხრეც დაიწყო,
მაგრამ კინოს არ ეშველა,
გული ბოდმით აივსო.

უეჭველად კულტურის სახლს ესაჭიროება მეტი კულტურა. თქვენთვის კი:

სჯობდა სარდაფს ჩასულიყავ
შექცეოდი ღვინოს,—
შენმა ლექსმა ჩვენს გოდორში
უნდა მოილხინოს.

ა-რე-ლის (ლენტეხი) ლენტეხის კოოპერატივზე თქვენი ლექსი ძლიერი ემოციით გადმოგვცემს:

ლენტეხის კოოპერაციას
სასადილო აქვს ქებული,
იქ მოსადილე ყოველი
კარგადაა გასუქებული,

რაფერის ღვინოს მოითხოვ
გააჩენენ იმავ წუთში,
„ლასკადურა“ ახლოს მოდის
ჩაუშვებენ იქვე ჭურში.

ბორშჩში ცურავენ ტარაკნები,
გეგონებათ თევზი ზღვაში,—
ანკესითაც ვერ დაიჭერ,
ჩანგალი თუ არ ჰკარ ყბაში.

უეჭველია ლენტეხის კოოპერატივში აღმოჩნდებიან ორფეხა „ტარაკანები“, რომლებსაც ჩვენი ჩანგალი არ აწყენთ, რაც შეეხება თქვენ ლექსს „ლასკადურასავით“ გადაუშვით ჩვენს „ჭურში“, ანუ გოდორში.

კაშანმდევს (ქ. წულუკიძე) თქვენ იმედოვნებთ, რომ თქვენი ლექსი გამოასწორებს საქვაჭრობის ბუღალტერს, რომელიც თურმე

კანტორიდან გამოვა
თითქოს საქმე აწუხებს,
მიაშურებს რესტორანს
ანდა ღვინოს საწყობებს...

ჩვენ კი წინააღმდეგს ვფიქრობთ,—თქვენს ლექსს აჯობებდა, რომ თქვენ ოკითონ, როგორც ვაჭრობის დარგში გავლენიან თანამდებობის პირს, მიგეღოთ შესაფერი ზომები.

შეცდომის გასწორება

ჩვენი ჟურნალის № 7-ში, მე-5-ე გვერდზე ბოთაჯ ულ ფელეტონში: „საიუბილეო სიზმარი“, მესამე სვეტში, ქვემოდან მეექვსე და ბუთე სტრიქონები ასე უნდა იკითხებოდეს:

ვაუკაცობის გამომჩენი
მოედანი და ბურთია...

რედ.

ხარედაქციო კოლეგია

რედაქციის მისამართი: ჯორჯიაშვილის ქ., 5. ტელ. 8-74-67

გადაეცა წარმოებას 1940 წ. 3/VI. ხელმოწერილია დასაბეჭდად 1940 წ. 18/VII გამ-ბა „ბარია ვოსტოკას“ ა. ფ. მიასნიკოვის სახ. სტამბა ქ. თბილისი

შეკვეთა № 2115 ბოავლიტის რწმუნებული № 1512 ტირაჟი 15000

იხვების გადაფრენა

„...გერმანიის არმიის მიახლოვებისთანავე, ჰავასის დეპეშათა სააგენტო პარიზიდან ტურში გაიქცა, იქიდან კლერმონფერარში გადაინაცვლა, შემდეგ ვიშში გადავიდა.

— დეპეშებიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. გ. ისაევისა

რაცხა დასცხა, ხაწყალ ჰავახს
და გაქცევით იცვლის ჰავახ,—
(ჰორებს იქაც რაღა ახერხებს,
ეს არ იწვევს ეჰვს და დავახ!)